საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში არსებული 3 სართულიანი შენობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

შპს „სითი ლოფტი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2023 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში არსებული 3 სართულიანი შენობის უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში არსებული 3 სართულიანი შენობის უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოინჟკომპლექსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2018 წელს. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 3 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 2 გვ.
3. სქემატური სქემა, გამონამუშევრების დატანით---------- 1 ფურც.
4. გამონამუშევრების გეოლოგიური და საძირკვლების ჭრილები-------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე გათვალისწინებულია არსებული შენობის რეკონსტრუქცია. ტექნიკური დავალების თანახმად, სარეკონსტრუქციო შენობა 3 სართულიანია, სარდაფის ერთი სართულით. ზომებით 7×18,5 მ. სარდაფის ჩაღრმავებით 2,80 მ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა 3 შურფი, სიღრმით თითოეული 12.0 მ. შურფებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

1. ფენა 1 – I სგე – თიხნარი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის;
2. ფენა 2 – II სგე – თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის;
3. ფენა 3 – III სგე - კენჭნარი.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის ზედა ფენა თიხნარებია,

ძნელპლასტიკური კონსისტენციის. მათ მოსდევს იგივე თიხნარები, ოღონდ რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2). სიღრმეში ისინი იცვლებიან და წარმოდგენილნი არიან კენჭნარებით, რომლის შემავსებელიც თიხნარია. არსებული შენობის საძირკველი ბლოკის წყობით არის წარმოდგენილი, რომლის სიმძლავრეა 0.4 მ. ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება.

როგორც ავტორი აღნიშნავს, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება – I კატეგორიას (მარტივი).

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

ავტორი აღნიშნავს, რომ წინამდებარე დასკვნა შედგენილია დამკვეთის მიერ გაყვანილი შურფების აღწერის და საარქივო მასალის გამოყენების საფუძველზე, მხოლოდ არსებული შენობის რეკონსტრუქციისთვის. მოცემულ უბანზე ახალი შენობის დაპროექტების შემთხვევაში, საჭირო იქნება დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩატარება, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნების შესაბამისად.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ჩულურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქ.№55-ში არსებული 3 სართულიანი შენობის უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად **რეკონსტრუქციის** პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჯოხაძელიძე/